



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის
ოქმი N3**

ქ. ლანჩხუთი

28. 11. 2017 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ელისო ჭიჭინაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური. საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ვალერი წულაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი რ. ლაშხია /

საკრებულოს წევრმა, **ამირან გიგინეიშვილმა** აღნიშნა, რომ ნებისმიერი აქტი, რომელსაც მიიღებს საკრებულო, უნდა იყოს შესაბამისობაში ადგილობრივ თვითმმართველობის კოდექსთან, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტის მერი საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში შეიმუშავებს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს და მასში შესატანი ცვლილებების პროექტებს. მერიის დებულებით, დადგენილი წესით ახდენს მერიის თანამდებობის პირებისთვის უფლებამოსილების დელეგირებას, ანუ უფლებამოსილი პირი ხდება, ვისზეც დელეგირებულია კონკრეტული საკითხი, გარდა იმ უფლებამოსილებებისა (კიდევ სხვა რამდენიმე საკითხისა), რომლებიც ამ კანონის შესაბამისად საკრებულოს მიერ დამტკიცებას ან თანხმობის მიცემას საჭიროებს. მერი დასამტკიცებლად წარუდგენს და სხვას ვერავის ვერ გადასცემს იმ ვალდებულებას, ანუ უფლებამოსილი პირი ვერ გახდა იმ საკითხის მიმართ, რა საკითხიც ითვალისწინებს საკრებულოზე დამტკიცებას. აქედან გამომდინარე, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსს როლანდ ლაშხიას არ აქვს უფლება სხდომას წარუდგინოს აღნიშნული საკითხი, რომელიც უნდა წარმოადგინოს მუნიციპალიტეტის მერმა, ალექსანდრე სარიშვილმა. თუკი მის მიერ გაჟღერებული შენიშვნა გათვალისწინებული იქნება ეს მხოლოდ მისასალმებელია, ხოლო გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, საკრებულოს წევრი დღევანდელ სხდომაზე მიღებულ დადგენილებას და საკრებულოს სხდომის ოქმს, რომელშიც დაფიქსირებული იქნება მის მიერ დაყენებული საკითხი, წარადგენს სასამართლოში, რომელმაც უნდა შეაჩეროს 2017 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი განხილვა, და მოითხოვს, როგორც პროცედურული დარღვევით მიღებული დადგენილება არარად იქნას ცნობილი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** განმარტების გაკეთება სთხოვა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს **ვერიკო კვიციანიას**, რომელმაც აღნიშნა, რომ უფლებამოსილების დელეგირება ნიშნავს გარკვეული ფუნქციის გადაცემას, რომელიც ხდება შესაბამისი წესების დაცვით. ამ შემთხვევაში ბიუჯეტის პროექტი წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის მერის ხელმოწერით, ხოლო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი, როლანდ ლაშხია აკეთებს მხოლოდ საკითხის მოხსენებას, ანუ ახდენს შინაარსის მოყოლას. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მერი ბრძანდება მომხსენებელი და თუ რაიმე საკითხის ირგვლივ კითხვები გაჩნდება, მას შეუძლია საკითხის მიმართ ამომწურავი პასუხების გაცემა. საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს, **ბესიკ ტაბიძეს**, რომ სხდომა მიმდინარეობს რიგგარეშე ფორმატში და მსგავსი გარჩევებისგან დეპუტატების მხრიდან თავი ყოფილიყო შეკავებული.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 9 ნოემბერს დაწერათ N1373 წერილი, რომლითაც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ბიუჯეტის დამტკიცებულ ასიგნების ფარგლებში სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამის 13186 ლარის შემცირების ხარჯზე, გაიზარდოს მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა 500 ლარით; ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა 6336 ლარით; სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანთა დახმარების პროგრამა 6350 ლარით; ასევე სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანთა დახმარების პროგრამის სხვა საქონელი და მომსახურების მუხლის 400 ლარით და სხვა ხარჯების მუხლის 500 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სოც-უზრუნველყოფის მუხლი 900 ლარით; სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის სხვა საქონელი და მომსახურების მუხლის 1012 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს შრომის ანაზღაურების მუხლი 1012 ლარით; წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის 4000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს: მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხვა ხარჯების მუხლი 1050 ლარით, მუნიციპალიტეტის გარე განათების ელექტროენერჯის ხარჯის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი გაიზარდოს 450 ლარით და ქალაქის ტერიტორიაზე მუნიციპალურ შენობა-ნაგებობაში დახარჯული წყლის გადასახადის ოფისის მუხლი 2500 ლარით.

საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა სხვა საქონელი და მომსახურების მუხლის 157353 ლარის ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 157353 ლარით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქონელი და მომსახურების მუხლი 4000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საკრებულოს ტრანსპორტის მუხლი 4000 ლარით. მუნიციპალიტეტის მერიის საქონელი და მომსახურების მუხლის 3600 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს ტრანსპორტის მუხლი 3600 ლარით. მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და მობილიზაციის სამსახურის საქონელი და მომსახურების მუხლი 900 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს ტრანსპორტის მუხლი 900 ლარით.

საკრებულოს წევრი, **კახაბერ ასკურავა** დაინტერესდა, მუნიციპალიტეტის წინ მდებარე შადრევანი, რომელზეც გამოყოფილია 2500 ლარი, ოფიციალურად არის თუ არა ჩაბარებული. ასევე

მისი თქმით, წარმოდგენილ დოკუმენტში წერია, რომ საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა სხვა საქონელი და მომსახურების მუხლის 157353 ლარის ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 157353 ლარით, მაშინ როცა თურმე ბიუჯეტში ცვლილება ხდება ასიგნების ფარგლებში და რეალური ცვლილება არ ხორცილდება.

საკრებულოს წევრი დაინტერესდა, არაფინანსური აქტივების ზრდა არის თუ არა ბიუჯეტში ცვლილება. მისი თქმით, ეს არის ბიუჯეტში მუხლი არაფინანსური აქტივებიდან შემოსულობების, რაც ნიშნავს, რომ განხორციელდა საპრივატიზაციო ობიექტებიდან გარკვეული შემოსავლების მიღება და ცვლილება უნდა მოხდეს როგორც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, ასევე გასავლის ნაწილში. ასევე დაინტერესდა, არაფინანსური აქტივებიდან თუ რისი რეალიზაცია მოხდა და აღნიშნული ცვლილებები რით არის განპირობებული.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განმარტება სთხოვა მერიის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსს **ლევან ჩხაიძეს**, რომელმაც განმარტა, რომ აღნიშნული ობიექტი არის უკვე ჩაბარებული. წარმოდგენილი თანხა 2500 ლარი მოიცავს ობიექტის მომსახურების საფასურს.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი არის სულ სხვა თემა და დღეის მდგომარეობით მიღებულია 14 500 ლარის ფარგლებში, ხოლო გეგმა შეადგენს 236 000 ლარს. დოკუმენტში წარმოდგენილი 157 353 ლარი შედგება მუნიციპალიტეტის 5 პროცენტისა და რეგიონალური ფონდიდან გამოყოფილი თანხის ჯამი, რომელიც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა საქონლისა და მომსახურების მუხლში თავიდანმე იყო ასახული. ახლა მხოლოდ ხდება აღნიშნული მუხლის შემცირება და მისი გადატანა არაფინანსური აქტივების ხარჯზე.

საკრებულოს წევრი, **კახაბერ ასკურავა** დაინტერესდა, წლის ბოლოს, როცა უკვე მუშაობა მიმდინარეობს მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტზე, რატომ გახდა აუცილებელი აღნიშნული ცვლილების განხორციელება, რაც მისი თქმით არ არის მართებული.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ**, რეგლამენტის დაცვისა და კორექტულობისკენ მოუწოდა საკრებულოს წევრებს.

საკრებულოს წევრმა **კარლო კვიციანიშვილმა** აღნიშნა, რომ დასუფთავების მიმართულებით დეკემბრის თვეში მუნიციპალიტეტში არის გარკვეული ფინანსური სირთულეები, იგი დაინტერესდა რა გზით უნდა მოგვარდეს აღნიშნული პრობლემა.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** აღნიშნა, რომ დასუფთავების კუთხით მუნიციპალიტეტში მართლაც რომ არასახარბიელო სდგომარეობაა. კერძოდ, საკმარისი არ არის შესაბამისი ფინანსური რესურსები. მისი თქმით, აუცილებლობიდან გამომდინარე მიზანშეწონილია კულტურის ობიექტების რეაბილიტაციის, არაფინანსური აქტივების მუხლის 33 000 ათასი ლარით და სარეზერვო ფონდის 10 000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს ა(ა)იპ „ლანჩხუთის სერვისი“-ს სუბსიდიით დაფინანსება 43 000 ლარით, ვინაიდან ამ ეტაპზე მუნიციპალურ ბიუჯეტში სხვა შესაბამისი თანხები არ

მოიძიება. ამასთან, მიზანშეწონილია გაიზარდოს 250 ლარით მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის ხარჯი სხვა საქონელისა და მომსახურების მუხლის შემცირების ხარჯზე.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ დასუფთავების მიმართულებით არის ფინანსური სირთულეები. ამ ეტაპისთვის აუცილებელია ბიუჯეტში ყველა იმ ხარჯების მოძიება, რათა მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნაგავი არ დარჩეს გაუტანელი და მომსახურე პერსონალისთვის ანაზღაურებულ იქნას სახელფასო ვალდებულებები. მუნიციპალიტეტს ფინანსთა და რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებთან ქონდა კონსულტაციები. არის დაპირება, რომ მთავრობის სხდომაზე განიხილება აღნიშნული საკითხი და მუნიციპალიტეტს ამ მიმართულებით 143 000 ლარს დაუმტკიცებენ, მაგრამ მთავრობის გადაწყვეტილებამდე რომ არ მოხდეს ამ პროცესების ხელის შეშლა, აუცილებელია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელდეს აღნიშნული თანხების მუხლიდან მუხლში გადატანა, რაც საკრებულოს თანხმობას საჭიროებს.

საკრებულოს წევრი, **ლელა ჩახვაძე** დაინტერესდა სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამის 13186 ლარის შემცირება რატომ გახდა აუცილებელი, როცა ამ მიმართულებით მოსახლეობისთვის დახმარების აღმოჩენა ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ აღნიშნული პროგრამა არის ახალი. კერძოდ, სოციალურ დახმარების პაკეტში შევიდა წინა მოწვევის საკრებულოს რამდენიმე წევრის ინიციატივის სააფუძველზე, რომელიც თანხობრივად შეადგენდა 70 000 ლარს. ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ აღნიშნულ პროგრამას აქვს გარკვეული ხარვეზები, მერიის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მომართვის საფუძველზე ამ პროგრამიდან გამოთავისუფლებული თანხები ისევ მოხმარდება მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარების პროგრამებს.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ აღნიშნული პროგრამა პირველად იყო შესული სოციალურ პაკეტში და არის დასახვეწი. დახმარების მიღება შეეძლო მუნიციპალიტეტის მაცხოვრებელს, რომლის სოციალური სარეიტინგო ქულა იყო 120 000 -მდე.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ელისო ჭიჭინაძემ** განმარტა, რომ აღნიშნული პროგრამის ერთ-ერთი ინიციატორი თავად გახლდათ. ვინაიდან, პროგრამა გათვლილი იყო სარეიტინგო ქულების მიხედვით და ასევე არ იყო ამ მიმართულებით გარკვეული სტატისტიკური დაანგარიშება, მოთხოვნილი იქნა პროგრამის დაფინანსება 70 000 ლარის ოდენობით, რადგან ბევრია საოპერაციო ხარჯების დაფინანსების მომთხოვნი მოქალაქეები, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ძალიან ბევრ ადამიანს განცხადებაც არ ქონდა შეტანილი, რადგან თუკი ოჯახს არ აქვს შესაბამისი სოციალური ქულა, დამხარების

მიღება არ იყო შესაძლებელი. ის იმედოვნებს, რომ ახალი მოწვევის საკრებულოში, აღნიშნული ხარვეზები გათვალისწინებული იქნება.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 29 დეპუტატი.

მომხრე 27 დეპუტატი, წინააღმდეგი 2 დეპუტატი(კახაბერ ასკურავა, ამირან გიგინეიშვილი);

მიღებულ იქნა დადგენილება N35 (28.11.2017)

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

